ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1020471

ნომერი: AR1180257

თარიღი : 26.11.2013

გაცემის თარიღი : 29.11.2013

გაცნობის თარიღი : 03.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი ძოწენიძე , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა დიდბარიძე პ/ნ 62001000533
- სოხუმი ჩალმაზის ქ. N 16 ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღია აივნის ამოშენება-შემინვა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციისა, კერძოდ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებისა და აღნიშნული ფოტოსურათების საფუძველზე დამუშავებული საპროექტო ფოტომონტაჟისა, გაცნობებთ, რომ "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შეახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე მხოლოდ შიდა ეზოს სივრცის მხარეს, რომელიც არ იკითხება ქუჩის მხრიდან და რომელზეც დადასტურებული იქნება მზიდი კონსტრუქციების მდგრადობა უნებართვოდ ან სხვა მიზეზის შედეგად ნაწილობრივ მიშენებული, დამთავრებული ან დაუმთავრებელი ლოჯიების ან სხვაგვარი მშენებლობის გამო დაკარგული აქვთ დასრულებული არქიტექტურული იერსახე, ნებადართულია ინდივიდუალურად ნაკლული ლოჯიების მიშენების განხორციელება იერსახის აღდგენის მიზნით და ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები აუარესებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის იერსახეს და იმის გამო, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილი ესკიზური პროექტი როგორც მოცულობითი, ისე არქიტექტურულ-კომპოზიციური და მხატვრული გადაწყვეტილების თვალსაზრისით ვერ უზრუნველყოფს ისეთი ობიექტის ჩამოყალიბებას, რომელიც დააკმაყოფილებდა არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნებს, კორპუსის საერთო ვიზუალის შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით, სამსახური ვერ დაუშვებს პრეცედენტს თქვენი კონკრეტული შემთხვევისათვის გასცეს რაიმე სახის ნებართვა და თვლის, რომ აღნიშნულის განხორციელება არ უნდა იქნას სხვა მობინადრეებისათვის სამაგალითო, რათა არ იქნას დაშვებული ერთეული სახით შენობის ფასადის გაუარესება. აღნიშნული გარემოების გამო სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.